ინტერნეტსივრცეში დამყარებული არასასურველი კომუნიკაციის ადეკვნებად კვალიფიკაცია

სალომე კრაველიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ფაკულტეტზე სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო ნაშრომი

სამართლის სკოლა, სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: გოგა ხატიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

სალომე კრაველიძე,

13.10.2024

აბსტრაქტი

ნაშრომი განიხილავს ინტერნეტსივრცეში არასასურველი კომუნიკაციის ადევნებად კვალიფიკაციის სამართლებრივ ასპექტებს,რომელიც თანამედროვე სამართლებრივი სისტემების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა, ის ციფრული ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად, ყოველდღიურად უფრო მწვავე ფორმებს იღებს. სოციალური მედიისა და ონლაინ კომუნიკაციის პლატფორმების პოპულარობამ ხელი შეუწყო ახალი ტიპის დანაშაულის ციფრული ადევნების გამოჩენას, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს, როგორც ინდივიდის პირად ცხოვრებას, ისე მის ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას. საქართველოს სამართლებრივი სივრცეში აღნიშნული საკითხი ჯერ კიდევ განვითარებისა და დახვეწის ეტაპზეა, რაც ქმნის აუცილებლობას მისი სამართლებრივი კვალიფიკაციის დეტალურად შესწავლისა და რეგულირების გაუმჯობესების. ნაშრომი მიზნად ისახავს აღნიშნული საკითხის კომპლექსურ გაანალიზებას სამართლებრივი, სოციალური და ტექნოლოგიური თვალსაზრისით, რათა მკითხველს მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია და შესთავაზოს რეკომენდაციები ადევნების პრევენციისა და მართვის სამართლებრივ მექანიზმებზე.ნაშრომში საუბარია ,როგორ იცვლებოდა ინტერნეტში კომუნიკაციის ფორმები წლების განმავლობაში და როგორ გამოიწვია ამ პროცესმა ახალი ტიპის დანაშაულის,კერძოდ ადევნების გაჩენა, ასევე ყურადღება გამახვილებულია რა სახის ქცევები შეიძლება შეფასდეს, როგორც არასასურველი კომუნიკაცია და როგორ განასხვავებს კანონმდებლობა ამ ქმედებებს სხვა ტიპის კომუნიკაციებისგან, განხილულია სხვადასხვა ფორმის არასასურველ კომუნიკაციები ,რომელიც ინტერნეტ სივრცეში ხორციელდება.ნაშრომში ყურადღებაა გამავილებული ციფრული მტკიცებულებების დაცვის სტანდარტებსა და სასამართლოში მათი წარდგენის მექანიზმებზე.ნაშრომი ადასტურებს დასაწყისში წამოყენებულ ჰიპოთეზას და აჩვენებს,რომ საქართველოში მოქმედი სამართლებრივი სისტემა საჭიროებს რეგულაციების დახვეწას,საერთაშორისო სტანდარტების ინტეგრირებას და სამართლებრივი პრაქტიკის გაუმჯობესებას.რეკომენდაციები მოიცავს ციფრული

მტკიცებულებების მოპოვებისა და დაცვის მექანიზმების გაუმჯობესებას, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისთვის სპეციალური ტრენიგების ჩატარებას და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების განხორციელებას.

ძირითადი საკვანძო სიტყვები: ადევნება, არასასრუველი კომუნიკაცია, ინტერნეტსივრცე, ციფრული მტკიცებულებები, მუქაარა, სისტემატურობა, ფსიქოლოგიური ზეწოლა, ციფრული გარემო, საერთაშორისო სტანდარტები.

Abstract

The paper discusses the legal aspects of the qualification of stalking for unwanted communication in the Internet space, which has become one of the most important challenges of modern legal systems, which, in parallel with the development of digital technologies, is taking on more acute forms every day. The popularity of social media and online communication platforms has contributed to the emergence of a new type of crime - digital stalking, which causes significant damage to both the personal life of an individual and his psychological well-being. In the legal space of Georgia, this issue is still at the stage of development and refinement, which creates the need for a detailed study of its legal qualification and improvement of regulation. The paper aims to provide a comprehensive analysis of this issue from a legal, social and technological perspective in order to provide the reader with comprehensive information and recommendations on legal mechanisms for preventing and managing stalking. The paper discusses how forms of communication on the Internet have changed over the years and how this process has led to the emergence of a new type of crime, in particular stalking. It also focuses on what types of behavior can be considered unwanted communication and how the legislation distinguishes these actions from other types of communication. It discusses various forms of unwanted communication that are carried out on the Internet. The paper focuses on the standards for protecting digital evidence and the mechanisms for presenting it in court. The paper confirms the hypothesis put forward at the beginning and shows that the legal system in force in Georgia needs to refine regulations, integrate international standards and Improving legal practice. Recommendations include improving mechanisms for obtaining and protecting digital evidence, conducting special training for law enforcement officers, and raising public awareness.

Key words: stalking, unwanted communication, cyberspace, digital evidence, threat, systematicity, psychological pressure, digital environment, international standards